ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №25

თბილისი „13“ „სექტემბერი“ 2019 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, ქ. თბილისის სსიპ პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლა, შემდგომში „შემსყიდველი“, დირექტორის გიორგი შავლაძის სახით, და მეორე მხრივ, ი.მ.„ლეილა ჩახიძე“ შემდგომში „მიმწოდებელი“, ლეილა ჩახიძის სახით ვდებთ ხელშეკრულებას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვების ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის ა) პუნქტის შესაბამისად, ორგანიზაციის საჭიროებისათვის სამუშაო ტანსაცმელი, სპეციალური ტანსაცმელი და აქსესუარები (cpv კოდი:18100000)-63 ლარი; ტყავის, ტექსტილის, პლასტმასის და რეზინის ნარჩენები (cpv კოდი:19600000)-168 ლარი; სუფთა ქიმიკატები და სხვადასხვა ქიმიური ნივთიერების პროდუქტები (cpv კოდი:24900000) -89 ლარი; აკუმულატორები, დენის პირველადი წყაროები და პირველადი ელემენტები (cpv კოდი:31400000)-40 ლარი; გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები (cpv კოდი:31500000) -140 ლარი; პირადი ჰიგიენის პროდუქტები (cpv კოდი:33700000)-710.5 ლარი; ავეჯის აქსესუარები (cpv კოდი:39200000)-53 ლარი; ქსოვილის ნივთები (cpv კოდი:39500000)-222 ლარი; საწმენდი და საპრიალებელი პროდუქტები (cpv კოდი:39800000)-300 ლარი; სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები (cpv კოდი:4400000) -170 ლარი; სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალა და მასტან დაკავშირებული საგნები (cpv კოდი:44400000) -385 ლარი შესყიდვაზე. მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს ზემოაღნიშნული საქონელი 2340.50 (ორიათასსამასორმოცი ლარი და 50 თეთრი) ლარად. (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები:

№	საქონლის დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	კლასიფიკატორის კოდი
1	ტ. ქაღალდი	ცალი	480	0,5	240	**33761000**
2	დომესტოსი	ცალი	30	4	120	**39831210**
3	თხევადი საპონი 5 ლ	ცალი	15	10,5	157,5	**33711900**
4	იატაკის ტილო მიკროფიბრა	ცალი	30	4,5	135	**39525100**
5	ზეტის ქაღალდი	ცალი	60	2,3	138	**33761000**
6	ნაგვის ტომარა 55*60	ცალი	30	1,8	54	**19640000**
7	ნაგვის ტომარა 72*95	ცალი	30	3,8	114	**19640000**
8	სველი სალფეთქი	ცალი	20	2,5	50	**33764000**
9	სადეზინფექციო ხსნარი ლილუსი	ცალი	30	1,3	39	**24959100**
10	სახეხი ფხვნილი რაქშა	ცალი	30	1,5	45	**39831210**
11	მინის ტილო	ცალი	30	1,5	45	**39525100**

	ბაგი					
12	პრონტო	ცალი	30	4,5	135	**39831210**
13	ხელთათმანი რეზინის	ცალი	30	1,5	45	**18141000**
14	ღრუბელი	ცალი	50	0,3	15	**39224300**
15	ეკონათურა	ცალი	40	3,5	140	**31531000**
16	უნიტაზის თავსახური	ცალი	10	10,5	105	**44411720**
17	აეროზოლი	ცალი	20	2,5	50	**24959100**
18	თხევადი საპონი ერთჯერადი	ცალი	50	2,5	125	**33711900**
19	ელემენტი საათის	შეკვრა	2	20	40	**31420000**
20	შემრევი ონკანი	ცალი	10	28	280	**44411100**
21	წყალემულსიური საღებავი მეგა აკრილი შეზავებით	ცალი	2	85	170	**44111400**
22	მუშის ხელთათმანი	ცალი	12	1,5	18	**18141000**
23	გასაშლელი ჯოხი 4მ	ცალი	2	14	28	**39224300**
24	ჯაგრისი უხეში	ცალი	2	5	10	**39224200**
25	მინის საწმენდი ტილო(რეზინით)	ცალი	3	14	42	**39525100**
					2340,5	

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. ვადები:

4.1.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ერთჯერადათ, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

4.2. ადგილი:

4.2.1. ქ. თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლა, ქ. თბილისი, საირმის ქ. №84

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.2. მიწოდებულ საქონელზე ანაზღაურება იწარმოება, დადგენილი წესით წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედნადების ან/და დ.ღ.გ.-ს ანგარიშფაქტურის საფუძველზე;

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მოწოდება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი პირების ხელმოწერით. „მიმწოდებელი“ არაუგვიანეს 6 სამუშაო დღეში წარუდგენს „შემსყიდველს“ მიწოდებული საქონლის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და 5.2 პუნქტში მოცემულ დოკუმენტებს.(საჭიროებისამებრ)

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს შესყიდული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2. გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

7.1.3. განახორციელოს ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით;

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ ადექვატური და დროული ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 საბანკო დღისა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული ანაზღაურება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული საქონლის ხარისხისა და მოცულობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

9.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია ერთი თვით ადრე. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით 0,01%-ის ოდენობით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სკოლის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის უფროსი: დავით რომელაშვილი.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (4 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

16.2. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ქ. თბილისის სსიპ პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლა	ი.მ. ლეილა ჩახიძე
მისამართი: საირმის ქ. №84	მისამართი: თბილისი ჩიქვანიას 7
ს/ს „საქართველოს ბანკი“	ს/ს თიბისი ბანკი
ბ/კ BAGAGE22	ბ/კ: TBCBGE22
ა/ა GE82BG0000000186722200	ა/ა GE18TB7916045061100058
ს/კ 205102039	ს/№01004013228
დირექტორი	*ხელმძღვანელი*
გიორგი შავლაძე	ლეილა ჩახიძე